საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ძუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ლილუაშვილი, რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორი, თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2022 წლის 19 ივლისის სხდომის ოქმი # 7
თსსა აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20 აგვისტოს სხდომის ოქმი N48

ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს ეროვნული კულტუტული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვადახვა მიმართულების სპეციალისტების მომზადება წარმოადგენს.

კონსერვცია-რესტავრაცია ინტერდისციპლინური, დარგთაშორისი მეცნიერებაა და გამოირჩევა განსაკუთრებული კომპლექსურობით. სფერო კონსერვაციის მიმართულების გარდა მოიცავს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, შესაბამისად კონსერვატორ-რესტავრატორი უნდა ფლობდეს არამხოლოდ კონსერვაციის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ მომიჯნავე დარგების, მაგ., ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, ხელონების ისტორიის თეორიულ ცოდნასა და სახელოვნებო ანალიზის უნარ-ჩვევებს.

სწორედ ამიტომ ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია/რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს კონსერვაცია-რესტავრაცია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება (რომელიც ასევე მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებსა და ხელოვნების ისტორიასა და თეორიას). პროგრამა ასწავლის კონსერვაციის დარგის ძირითად პრინციპებს, მიდგომებს, თანამედროვე თეორიებს და ზრუნავს სტუდენტის პროფესიული ეთიკის გამომუშავებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე. პროგრამა ორიენტირებულია კონსერვატორ-რესტავრატორების მომზადებაზე, რომლებიც (როგორც ინდივიდუაალურად, ისე ჯგუფური მუშაობის შედეგად) შეძლებენ მოძრავი და უძრავი ძეგლების (ხეზე, ტილოზე და ქაღალდზე შესრულებული ნიმუშების, მცირე ხელოვნების ნიმუშების - მინა/კერამიკისა და ლითონის, ასევე კედლის მხატვრობის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლების), ღირებულების დადგენას, საბაზისო საკონსერვაციო კვლევას (ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა), შესაბამისი საბაზისო საკოსნერვაციო საჭიროებების განსაზღვრას და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, საბაზისო ჩარევებით ძეგლების ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას (კონსერვაცია/რესტავრაციას).

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0222 ისტორია და არქეოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0222.1.3 ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (ECTS)

სწავლების ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი, 4 სემესტრი.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები:

1. სტუდენტს გაუღრმაოს ცოდნა კონსერვაცია-რესტავრაციაში, როგორც ინტერდისციპლინურ მეცნიერებაში. ასევე, საფუძვლიანად შეასწავლოს დარგის/მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის პრინციპები, მიდგომები, თანამედროვე თეორიები და პროფესიული ეთიკის ნორმები. აგრეთვე, სიღრმისეულად გააცნობიერებინოს როგორც დამოუკიდებელი, ასევე გუნდური მუშაობის მნიშვნელოვანება;
2. სტუდენტს მისცეს მის მიერ არჩეულ მოდულში შემავალი ხელოვნების ნიმუშების, კერძოდ:
   მოდული 1: ხისა და ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები
   მოდული 2: მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა, ლითონი
   მოდული 3: კედლის მხატვრობა, ქვა და სხვა სამშენებლო მასალები
   კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და ამ მიმართულებებში გამოუმუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევები;
3. სტუდენტს გაუღრმაოს ცოდნა მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშთა მასალის და ტექნიკა-ტექნოლოგიის შესახებ;
4. სტუდენტს გაუღრმაოს ცოდნა მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშთა დაზიანების ტიპების და მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ;
5. სტუდენტმა შეძლოს სამეცნიერო ხელმძღვანელთან კოლაბორაციით მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსური კვლევა, კერძოდ ტექნოლოგიის, დაცულობის მდგომარეობის (დაზიანებების) და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების შესახებ;
6. სტუდენტს გაუღრმაოს ცოდნა მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის საკონსერვაციო-სარესტავრაციო მასალების შესახებ;
7. სტუდენტმა შეძლოს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის კომპლექსური საკონსერვაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების საჭიროებების განსაზღვრა, მათი საჭიროების დასაბუთება და სწორად დაგეგმვა;
8. გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშზე ადეკვატური საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჩარევების განხორციელება;
9. სტუდენტს გაუღრმაოს ცოდნა საკონსერვაციო-სარესტავრაციო დარგში გავრცელებული დოკუმენტაციის ფორმების, მათი შედგენის პრინციპის შესახებ და გამოუმუშაოს საკონსერვაციო-სარესტავრაციო დეტალური დოკუმენტაციის შედგენისა და ფართომასშტაბიანი პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;
10. სტუდენტს მისცეს ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხში.

სწავლის შედეგები:

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

რესტავრაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამაზე სწავლის დასრულების შედეგად სტუდენტს გაუმყარდება ცოდნა იმის შესახებ, რომ კონსერვაცია/რესტავრაცია ინტერდისციპლინური მეცნიერებაა; ასევე გაუღრმავდება პროფესიული ეთიკისადმი დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის გრძნობა. სტუდენტი შეარჩევს რომელიმე მოდულს/მიმართულებას და გაიღრმავებს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებულ ცოდნას არჩეულ მიმართულებაში. იგი ღრმად შეისწავლის ხელოვნების რომელიმე კონკრეტული დარგის ძირითად და სიღრმისეულ პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს. შედეგად კურსდამთავრებული შეძლებს უფრო ღრმა საკონსერვაციო კვლევის ჩატარებას (ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა), შესაბამისი საკოსნერვაციო საჭიროებების განსაზღვრას და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, დამოუკიდებლად და/ან საკოსნერვაციო ჯგუთან ერთად, ჩარევების გამოყენებით, ძეგლების ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას (კონსერვაცია/რესტავრაციას).

შედეგი 1

მაგისტრს აქვს გაღრმავებული ცოდნა მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის კონსერვაცია-რესტავრაციის ძირითადი პრინციპების, მიდგომებისა და თეორიების. საფუძვლიანად იცის პროფესიული ეთიკის პრინციპები და ნორმები და ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს თეორიული და პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს;

შედეგი 2

მაგისტრმა იცის მის მიერ არჩეულ მოდულში შემავალი ხელოვნების ნიმუშების, კერძოდ:

- მოდული 1: ხისა და ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები
- მოდული 2: მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა, ლითონი
- მოდული 3: კედლის მხატვრობა, ქვა და სხვა სამშენებლო მასალები, ტექნიკა-ტექნოლოგია.

შედეგი 3

მაგისტრმა ღრმად იცის მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობა (დაზიანებები) და დაზიანებათა გამომწვევი ძირითადი მიზეზების განსაზღვრის გზები;

შედეგი 4

სტუდენტმა იცის კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები;

<u>უნარი</u>

შედეგი 5

მაგისტრს კარგად აქვს განვითარებული უნარი სამეცნიერო მიდგომით, ემპირიული დაკვირვებითა და კომპლექსური ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის ძირითადი შემადგენელი მასალა და შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგია.

შედეგი 6

მაგისტრს კარგად აქვს განვითარებული უნარი სამეცნიერო მიდგომით, ემპირიული დაკვირვებითა და კომპლექსური ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობა, გამოავლინოს ძირითადი დაზიანებები, მათი ტიპები და სახეობები.

შედეგი 7

მაგისტრს კარგად აქვს განვითარებული უნარი განსაზღვროს როგორც მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის დაზიანების გამომწვევი ძირითადი მიზეზები (დასვას პრობლემა), ასევე განსაზღვროს, დაგეგმოს და განახორციელოს ადეკვატური საკონსერვაციო ღონისძიებები;

შედეგი 8

მაგისტრს შუძლია ინდივიდუალურად და ჯგუფურად აწარმოოს სრული საკონსერვაციო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს გრაფიკულ, ვიზუალურ (ფოტო) და ტექსტურ ფორმებს. ასევე შეუძლია ჩატარებული სამუშაოს, კომპლექსური დოკუმენტაციის ზეპირსიტყვიერი წარდგენა, პრეზენტაცია და შეუძლია კოლეგებთან მაღალპროფესიული კომუნიკაციის დამყარება.

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</u>

შედეგი 9

მაგისტრი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშების დაცვა-შენარჩუნების კუთხით და საკონსერვაციო საქმიანობას უდგება კეთილსინდისიერად, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

შედეგი 10

მაგისტრს შეუძლია სამეცნიერო ხელმძღვანელთან და/ან ინტერდისციპლინურ ჯგუფთან კოლაბორაციით განახორციელოს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსური კვლევები და

დამოუკიდებლად შეასრულოს (მეორე საფეხურის) შედარებით რთული პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო.

<u>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:</u>

პროგრამაზე დაშვებისათვის საჭიროა ბაკალავრის ხარისხი, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდისა და შიდა მისაღები გამოცდის ჩაბარება, რაც გულისხმობს უცხო ენას, ზეპირ გამოცდა სპეციალობაში (შეკითხვებზე პასუხი და პრეზენტაცია).

<u>სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა:</u>

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. 4 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 კვირას. I სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 – სასწავლო კვირა (საგნის მიხედვით ინტეგრირებული პრაქტიკით), 3 - სასესიო) II სემესტრის ხანგრძლივობა 20 კვირა (15 – სასწავლო კვირა (საგნის მიხედვით ინტეგრირებული პრაქტიკით), 3 - სასესიო).

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და მისი სტრუქტურა ამგვარია:

- სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 20 ECTS;
- სპეციალობის / ძირითად სავალდებულო საგნები – 45 ECTS;
- არჩევითი სპეცსაგნები – 25 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS
  ჯამში 120 ECTS.

პროგრამა მოიცავს სახვითი ხელოვნების ნიმუშების **3 მოდულს,** რომლიდანაც კონკრეტული მოდულის არჩევისას მაგისტრი იღებს სპეციალიზაციას არჩეული მიმართულებით.

ეს მოდულებია:

1. ხელოვნების ნიმუშები ხისა და ტილოს საფუძველზე
2. მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა, ლითონი
3. კედლის მხატვრობა, ქვა და სხვა სამშენებლო მასალები
4.

სპეციალობის / ძირითადი საგნები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია:
1. ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგიის საგნები – 5 ECTS
2. ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციის თეორიის საგნები – 10 ECTS
3. ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციის პრაქტიკის საგნები – 15 ECTS

გარდა ამისა, სპეციალობის საგნებში შედის სამივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო საგნები:

- ხელოვნების ნიმუშების კვლევის მეთოდები კონსერვაციაში – 5 ECTS
- საკონსერვაციო მასალების ქიმია 1 და 2 – 10 ECTS (5+5).

ცხრილი N1: სამაგისტრო პროგრამა

ძირითადი სტრუქტურა - საგნების კატეგორიები და მათი ჯამური კრედიტები

ცხრილი N1: **სამაგისტრო პროგრამა: ძირითადი სტრუქტურა - საგნების კატეგორიები და მათი ჯამური კრედიტები**			
დასახელება			**კრედიტი**
I	**საფაკულტეტო საგნები**		**20**
II	**სპეციალობა / ძირითადი საგნები**		**45**
	მიმართულების მიხედვით, შერჩევით (ან 1, ან 2, ან 3):		
	1.	ხელოვნების ნიმუშები ხისა და ტილოს საფუძველზე	**30**
	2.	მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა, ლითონი	**30**
	3.	კედლის მხატვრობა; ქვა და სხვა სამშენებლო მასალები	**30**
	სამივე მიმართულებისთვის / მოდულისთვის საერთო საგნები		**15**
III	**არჩევითი საგნები**		**25**
IV	**სამაგისტრო ნაშრომი**		**30**
კრედიტების ჯამი			**120**